

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“  
ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“.

2. „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის მიზანია: ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ერთჯერადი კვება სამკომპონენტო სადილით კვირაში ხუთი დღის განმავლობაში (მენიუ თან ერთვის). ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან შშმ პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ ერთი წელი.

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ბენეფიციარმა მომსახურება უნდა მიიღოს დღის ცენტრში, რომელიც უნდა აკმაყოფი-

ლებდეს შემდეგ პირობებს:

- ფართობი არანაკლებ 5 კვ.მ-სა (ერთი პირის შემთხვევაში), უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, მინიმუმ ორი სველი წერტილი. გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო.

დღის ცენტრში მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით:

- 45 (მაქსიმუმ) უნარშეზღუდული პირისათვის (18 წლის ასაკის ზემოთ) ინდივიდუალური რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, მედდის, პედაგოგის და ერგოთერაპევტის ჩართვით 12 თვე საჭიროებიდან გამომდინარე.

- სამკოპონენტო სადილით დღეში ერთხელ უზრუნველყოფა, 12 თვის განმავლობაში, კვირაში ხუთ დღეს;

- პროგრამაში მონაწილეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა 12 თვის განმავლობაში, კვირაში ხუთ დღეს;

- პროგრამაში მონაწილეებისათვის საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის შედგენა;

- პროგრამაში მონაწილეებისათვის საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტიური დღეების ხარჯზე, ერთი დღე პირისპირ 16 ლარი, ხოლო დისტანციურად - 9,60 ლარი.

„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge)

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინე რუხაძე.